პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

24 ნოემბერი შაბათი 1973 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 274 (15791)

# მესამე, გადამწყვეტი — ვადამდე!

## ნობათები სამშობლოს

## საქართველოს მრეწველობამ ვადამდე შეასრულა თერთმეტი თვის გეგმა

რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკებმა, რომლებმაც სოციალისტური შეჯიბრება გაიჩაღეს ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, 23 ნოემბერს შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციის 1973 წლის თერთმეტი თვის გეგმა.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ზესტაფონის ფერიროშენადნობთა ქარხნის, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, ჭიათურის მანგანუმის ტრესტის, რუსთავის ქიმიური კომბინატის, რუსთავის სინთეზური ბოჭკოს ქარხნის, თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის, ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის, ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის, რუსთავისა და კახეთის ცემენტის ქარხნების, თბილისისა და ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებების, ქუთაისის ბამბასაქსოვი საწარმოო გაერთიანების, თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ კოლექტივებმა. (საქინფორმი).

## მოდის ზემგზემითი ფოლადი

დასასრულს უახლოვდება ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წელიწადი. საწარმოო კოლექტივები უკვე უთავაზებენ საამობლოს თერთმეტი თვის გეგმების შესრულებას, ბევრმა მათგანმა კი წლიური დავალებაც გაანაღდა. იმ კოლექტივებს შორის, ვინც თავი ასახელეს წლიური დავალების ვადამდე შესრულებისათვის გაწლილ შეჯიბრებაში, არის რესპუბლიკის მრეწველობის ფლაგმანი — **რუსთავის მეტალურგიული ქარხნის** კოლექტივი, რომელმაც ვადაზე ადრე დასძლია თერთმეტი თვის პროგრამა და ახლა პროდუქციას დეკემბრის ანგარიშში იძლევა.

შეგახსენებთ, სოციალისტურ შეჯიბრებაში შესანაწილო წარმატებას აღწევს № 7 ღუმელის ბორის ძელაძის სახელობის კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა. ამ დამკვრელურ კოლექტივს სათავეში უდგას გამოცდილი მეფოლადე ბონდო ჩემია. ბრიგადა დროს უსწრებს, ყოველდღიურად ზეგეგმით ფოლადს ადნობს, ნაკლერ ვალდებულებას გადაჭარბებით ასრულებს.

ბრიგადაში მეფოლადის დამსმარეა მაკეთილის მეტალურგიული ტექნიკუმის კურსდამთავრებული **ნიკოლოზ მარჩენკო.** იგი ახალგაზდაა, მაგრამ აქ ისე გულთბილად მიიღეს და ისეთი მეგობრული დახმარება გაუწიეს, რომ მოკლე ხანში მთელი დატვირთვით დაიწყო მუშაობა და პროფესიული ოსტატობა გამოავლინა.

წლის ბოლომდე საამობლოს მივცემთ 200 ტონაზე მეტ ზეგეგმით ფოლადს, — ახეთია ახალგაზრდა მეტალურგთა გადაწყვეტილება.

სურათზე: რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადეთა კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელი ბონდო ჩემია (მარცხნივ) და მეფოლადის დამხმარე ნიკოლოზ მარჩენკო.

ა. რუსაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# დეპუტატის დიდი მოვალეობა

ბევთანდილ გიგოლაშვილი წელს პირველად აირჩიეს თელავის საქალაქო საბჭოს დეპუტატად. იგი საქალაქო საბჭოს საყოფაცხოვრებო, კომუნალური, კეთილმოწყობის, საგზაო და გამწვანების მუდმივი კომისიის თავმჯდომარეა. ეს კომისია ბევრი კეთილი საქმის ინიციატორია. მისი თაოსნობით ქალაქში მოეწყო ლამაზი სკვერი, გაფართოვდა და მოოკირწყლა ქუჩები, გაიხსნა საბავშო ფარდული. კომისიის წევრების — დეპუტატების მეთაოსნობით არაერთი საჭირბოროტო საქმე, მეზობლური დავა მოგვარდა.

თელავის საქალაქო საბჭოს დეპუტატი ა. გიგოლაშვილი ერთი იმ მრავალთაგანია, ვინც ხალხის ნდობას საქმით ამართლებს. ასეთები ჩვენს ქვეყანაში ათასობით არიან. ისინი მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლები არიან. ჩვენი დეპუტატები — კომუნისტები და უპარტიოები, სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები განსახილერებენ ყოველივე საუკეთესოს, რაც ახასიათებს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ერთგულებით, კომუნისტური პარტიის მიერ დასახული მიზნების ერთიანობით შეკავშირებულ საბჭოთა ადამიანებს.

საბჭოები, — ნათქვამია პარტიის XXIV ყრილობის რეზოლუციაში „კიკ“ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო, — კიდევ უფრო სრულად უნდა ახორციელებდნენ თავიანთ ფუნქციებს, ქმედით გავლენას ახდენდნენ ეკონომიკასა და კულტურის განვითარებაზე, ხალხის კეთილდღეობის ამაღლებაზე, უფრო ბეჯითად წყვეტდნენ მოსახლეობის სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებს.

დეპუტატი ნამდვილი ბატონ-პატრონია წარმომადგენლობით ორგანოში და ამასთანავე მისი საქმეების მთავარი აღმასრულებელიც არის. ამიტომ დეპუტატის ყოველ სიტყვას, ყოველ წამოწყებას, მის ორგანიზატორულ მუშაობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ადამიანებისათვის მშვიდი, მყუდრო ცხოვრების პირობების შექმნაში, სოფლად და ქალაქად მტკიცე საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

უკანასკნელ ხანს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული მტკიცე საზოგადოებრივი წესრიგის, პარტიული, სახელმწიფო და შრომითი დისციპლინის განმტკიცების საქმეში. როგორც ცნობილია, ჩვენს სოფლებსა და ქალაქებში სრული წესრიგის, დისციპლინის განმტკიცებისა და წარსულის მავნე ჩვევების აღმოფხვრისათვის ბრძოლის პირველი ინიციატორები ამ ერთი წლის წინათ ხუცუბნელი, ტყვიავლელი კოლმეურნეები, საავიალო და ელმავალსამშენებლო ქარხნების მუშები — ჩვენი მოწინავე ადამიანები იყვნენ. სწორედ მათი წამოწყება იყო ის, რომ სოფლებსა და ქალაქებში უსმობელი ბრძოლა გამოცხადა სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების ყოველნაირ დარღვევებს. ამ ინიციატივამ ფართები შეიხსნა და მთელ ჩვენს რესპუბლიკაში დიდი მუშაობა გაჩაღდა სანმიუშო საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად.

თქმა არ უნდა. ამ საქმეში ადგილობრივი საბჭოების დეპუტატები, პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, რის შედეგად ბევრგან გარკვეული წარმატებებია მოპოვებული.

აბაშისა და ბოგდანოვკის რაიონებს ბევრმა სასოფლო საბჭოს აღმასკომმა სათანადო ღონისძიებანი განახორციელა სოფლის ყრილობებზე მიღებული გადაწყვეტილების განხორციელებისათვის. ამ საქმეში, როგორც წესი, აქტიურ მონაწილეობას იღებენ დეპუტატები, შუამავი კომისიები, სახალხო რაზმელები, ამხანაგური სასამართლოები. სასოფლო საბჭოს სესიებსა და აღმასკომის სხდომებზე პერიოდულად განიხილავენ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის აქტუალურ საკითხებს. ამიტომ შემცირდა იმ პირთა რიცხვი, რომლებიც თავს არიდებენ სოფლად საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას. მაგალითად, ბოგდანოვკის სადაბო საბჭოში დეპუტატებისა და მუდმივი კომისიების აქტიური მუშაობით, იმ ღონისძიებათა შედეგად, რაც აქ მშრომელთა ყრილობაზე დაისახა, საკოლმეურნეო შრომას დაუბრუნდა 87 კაცი, განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად წელს ცხრა თვეში აბაშის რაიონის ზანათის, წყუმის, ძველი აბაშის, ონტოფოს, გეწათის, პირველი მაისისა და ნაიხაკოვის სასოფლო საბჭოების ტერიტორიაზე ადგილი არ ჰქონია დანაშაულის არც ერთ შემთხვევას.

მიუხედავად ამისა, ზოგან ჯერ კიდევ გვხვდება საზოგადოებრივი წესრიგის და სხვა სამართალდარღვევათა შემთხვევები, იზრდება ცალკეული სახის დანაშაულთა რიცხვი. არის სპეკულაციის, ხულიგნობის, ქურდობის შემთხვევები.

ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების, აქტივისტების ლიბერალურმა დამოკიდებულებამ გამოიწვია ის, რომ ზოგიერთი ქორვაჭარი, უსინდისო და უდისციპლინო ელემენტი ცდილობს სოფლის მეურნეობის პროდუქტებით სპეკულაციას, ამ პროდუქტების გატანას რესპუბლიკის საზღვრებს გარეთ. ასეთი შემთხვევები იყო მახარაძის, ლანჩხუთის, ხობუმის, ოჩამჩირის, გაგრის, გალის და ზოგიერთი სხვა რაიონში.

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, იმის შედეგია, რომ თავიანთ მოვალეობას სათანადოდ ვერ ასრულებენ ადგილობრივი საბჭოების დეპუტატები, არ ინერნენ ინიციატივას სოფლის სიკეთისა და საზოგადოებრივი გარემოს გაჯანსაღებისათვის, მშრომელი ადამიანებისათვის მუდრო, შვიდი ცხოვრების შექმნისათვის, ქორვაჭართა ალაგმვისათვის.

ასეთი მდგომარეობა არ უნდა დაუშვან ჩვენმა საბჭოებმა. მათ უნდა განახორციელონ და მიიღონ ისეთი ღონისძიებანი, რის შედეგად მადა დაეკარგებათ სპეკულანტებსა და ქორვაჭრებს, ოღლად ფულის შოვნის მოყვარულებს, ჩვენი ხალხის შემარცხვენელებს.

ადგილობრივი საბჭოების დეპუტატები გარემოსილი არიან პარტიის მუდმივი ზრუნვით იმისათვის, რომ სულ უფრო მაღლდებოდეს მათი როლი და მნიშვნელობა, რომ ხალხის თვითუფული რჩეული იყოს იმ მოთხოვნების დონეზე, რომლებსაც უყენებს მათ ეს მაღალი წოდება. უკანასკნელ ხანს ჩვენს ქვეყანაში მიღებულმა კანონებმა მნიშვნელოვნად გააფართოეს ადგილობრივი საბჭოების უფლებები, საბჭოებსა და მათ დეპუტატებს ახლა დიდი შესაძლებლობა აქვთ გავლენა მოახდენონ ხაჭმის ვითარებაზე, ჩვენი ადამიანების ცხოვრების ყველა სფეროზე, ყოფაზე. თვითეული დეპუტატი სრულად უნდა იყენებდეს თავის კონსტიტუციურ უფლებამოსილებას. იგი რეგულარულად უნდა მიდიოდეს საარჩევნო ოლქში, სისტემატურად ეწეოდეს ორგანიზაციორულ და აღმზრდელობითს მუშაობას ამომრჩევლებთან, იცოდეს, თუ რით ცხოვრობენ ადამიანები, რომლებმაც მას ეს დიდი ნდობა გაუწიეს. ისევე როგორც საბჭო მთლიანად, დეპუტატი თავის საქმიანობას, უწინარეს ყოვლისა ამოწმებს საბჭოთა კანონებით, არავის არ აძლევს უფლებას გვერდი აუაროს მათ, დაარღვიოს წესრიგი. ჩვენი სოციალისტური საზოგადოების თანაცხოვრების ნორმები.

ხალხის რჩეულის მოვალეობა ახლა ის არის, რომ ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად აქტიურად შეუწყოს ხელი სოფლად და ქალაქად სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის, პარტიული, სახელმწიფო, შრომითი დისციპლინის განმტკიცებას, მეცხრე ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის დავალებათა წარმატებით განაღდებისათვის გაჩაღებულ საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებას, მშრომელთა ყრილობებზე, კოლექტივების კრებებზე ნაკისრი ვალდებულებათა აუცილებელ შესრულებას.

## ინდოეთის ენერგეტიკა

შუშენსკოე (კრასნოიარსკის მხარე), 23 ნოემბერი. (საკდესის კორ.). შუშენსკოეს კუდეტრის სასახლეში გაიხსნა ფიბეტების გამოფენა „ლენინს კეთილულის ინდოეთი“. გამოფენაზე წარმოდგენილია ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთა 130 ტომი, რომლებიც გამოიცა ინდოეთში ამ ჯეუნინის ათობით ხალხების ენებზე.

მესაზოფიცია მოამზადა შუშენსკოეს სუროთების სახელმწიფო გალერეის დირექტორმა ი. ბ. რეხლოვმა.

# ხუთწლედი-ვადამდე! 1974-უეჭველად

# ხვალ მეტი, ვიდრე დღეს

## საწარმოს, საქმეროს, უბნის, ბრიგადის მოქმედების პროგრამა

**თბილისის** საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის“ კოლექტივმა მიიღო 1974 წლის შემხვედრი გეგმა. მოქმედების პროგრამა შემუშავებულია თვითეული საწარმოსათვის, საამქროსათვის, უბნისა და ბრიგადისათვის. გაერთიანების 300-ზე მეტმა მუშამ შეადგინა თავისი პირადი გეგმები. გეგმებში აღნიშნულია რეზერვები, რომელთა გამოყენება ვადამდე გაიყვანეს მათ ხუთწლედის დამამთავრებელი წლის მიჯნაზე.

გაერთიანების ყველა ქარხანა გაისად ნახევარი მილიონი მანეთის ზეგეგმიოს პროდუქციას ამოუშვებს, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო გეგმა საგრძნობლად იზრდება. პროდუქციის მთელ მატებას უზრუნველყოფენ შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით, რასაც მიაღწევენ მარეგულირებელი მექანიზმების ნაწილებისა და კვანძების, კერძოდ, ელექტროსამშეველის ძირითადი დეტალის — გულარის დასამზადებელი ახალი ნაკადური ხაზების ათვისების გზით. ორი ასეთი ხაზი, რომლებიც საექსპლოატაციოდ ოკვე გადასცეს გაერთიანების სათავო საწარმოში, შეუფერხებლად მუშაობს. ახლა ასაწყობ საამქროში დროულად მოდის დეტალები, რომლებიც არ მოითხოვენ მექანიკურ დამუშავებას.

მუშათა პირად გეგმებში გათვალისწინებულია წარმოების ეფექტიანობის ამაღლებასთან დაკავშირებული ციანლეების დინერგვა. გაერთიანებაში გაგრძელდება სოციალისტური შეჯიბრების ქვეშ დიდითობისა და საჯაროობის ამაღლების ახალი ფორმების ძიება.

პროდუქციის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების საკითხს ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია შემხვედრ გეგმაში. გადაწყვეტილია ოთხი სახეობის ნაწარმი მოამზადონ ხარისხის სახელმწიფო ნიშნის მოსაპოვებლად. ელექტროავტომატების, ელექტროსამუშაველებისა და პლასტმასის ნაწარმის საამეღლობას აამაღლებენ საწარმოს ყველაზე პასუხსაგებ უბნებზე — მექანიკურ და საინსტრუმენტო საამქროებში — ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფის გზით.

შემხვედრი გეგმა ადასტურებს აგრეთვე, რომ შესაძლებელია ძვირ და ფერადი ლითონების უფრო რაციონალური გამოყენება. ამას გაერთიანებისათვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რადგან ასამუშავებლებისა და ავტომატების დასამზადებლად იყენებენ დიდძალ სპილენძს, ბრინჯაოს, თითბერს.

შემხვედრი გეგმის შესრულების წარმატება ბევრად არის დამოკიდებული გაერთიანებისათვის პოლეთილენისა და წნულ-ფხვნილის შეუფერხებელ მიწოდებაზე. სამეორნეო ორგანოები, რომლებმაც პრინციპში მოიწონეს ქართველ ელექტროტექნიკოსთა გადიდებული პროგრამა, ახორციელებენ ქმედითს ღონისძიებებს მათი მომარაგების მოგვარებისათვის. (ხაქინფორმი).

# ფლიური გეგმა გაანაღდეს

**ჭიათურა.** (საკ. კორ.). ვ. ი. ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივმა (დირექტორი ლ. ჩხაიძე, პარტიული კომიტეტის მდივანი ბ. ციხისშვილი, პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე ა. მაჭარაშვილი) 15 ნოემბრისათვის შეასრულა ხუთწლედის სამი წლის დავალება, მეტალურგიულ ქარხნებს გაუგზავნა 679.431 ტონა მაღალხარისხოვანი მარგანეცი. შრომის ნაყოფიერება გაზარდა 5,9 პროცენტით. პროდუქციის რეალიზაციით სამშობლოს მისცა 5.186 ათასი მანეთი მოგება, სალიანაც 374 ათასი მანეთი ზეგეგმითია. ისინი ოთხჯერ გამოვიდნენ გამარჯვებულნი საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ნაცისრ ვალდებულებებს გადაჭარბებით ასრულებენ საწარმოო უბნების კოლექტივები, რომლებსაც ლ. კილაძე, რ. ბურჯანაძე, ი. შეფლაშვილი, გ. ოფლელიანი, ა. გიფრინდაშვილი, ბ. ლომიძე ხელმძღვანელობენ. აღმაჭრა ით მუშაობს ავრეთვე მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის კოლექტივი საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის ა. მოდებაძის მეთაურობით. ისინი პროდუქციას 1974 წლის ანგარიშში იძლევიან.

**თელავი.** (საკ. კორ.). „ციკავშირის“ თელავის საკოსმეტიკო ქარხნის (დირექტორი ა. ყუროშიძე) კოლექტივმა სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით და მუშაობაში პროგრესული მეთოდების დანერგვით უკვე გადაჭარბებით შეასრულა წლიური გეგმა. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5.500 ათასი პირობითი ქილისა გამოშვებულია 5.542 ათასი პირობითი ქილა ხილისა და ბოსტნეულის კონსერვი.

ქარხანამ გადაჭარბებით შეასრულა პროდუქციის რეალიზაციის წლიური გეგმაც, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.360 ათასი მანეთისა რეალიზებულია 1.576 ათასი მანეთის პროდუქცია.

ქარხნის მშრომელებმა გეგმასთან შედარებით 21 პროცენტით გადიდეს შრომის ნაყოფიერება, დაზოგეს დიდძალი თხევადი საწვავი და ელექტროენერგია. მოგებამ გეგმით გათვალისწინებული 100 ათასი მანეთის ნაცვლად 10 თვეში 304.600 მანეთი შეადგინა. თელაველმა მეკონსერვეებმ ა ახალი ვალდებულება აიღეს, მათი პირობაა წლის ბოლოდან გეგმის გადამეტებით გამოუშვან ერთი მილიონი პირობითი ქილა კონსერვი.

# ჯილდოების გადაცემა

**ამ დღეებში** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში შეიკრიბნენ მეცნიერები, პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკები, განათლების მუშაკები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **ვ. ა. კვაკჰაძემ** წაიკითხა შესაბამისი ბრძანებულებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **ვ. ს. ძოწენიძემ** ორქრომბრის რეფოლუციის ორდენი გადასცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს **ვ. დ. კუპრაძეს,** თბილისის **ვ. დ. კუპრაძე,** რომელიც დაჯილდოებულია დამსახურებისათვის მათემატიკის მეცნიერების განვითარებაში, მრავალი წლის ნაყოფიერი მეცნიერულ-პედაგოგიური, საზოგადოებრივი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით.

დაჯილდოებულთ გადაეცათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპასიონ სიგელები, სიგელები საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის, პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული მასწავლებლის, საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული ოსტატის საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

დაჯილდოებულთა სახელით გამოვიდნენ: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **ვ. დ. კუპრაძე,** თბილისის 47-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი **თ. ი. გეგეჭკორი,** საქართველოს სსრ წყალზე მაშველი საზოგადოების რესპუბლიკური ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე **ე. ე. ზარელუა,** რომლებმაც მხურვალე მადლობა გადაუხადეს კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას მათი შრომის მაღალი შეფასებისათვის.

**ბ. ს. ძოწენიძემ** გულთბილად მიუღოცა დაჯილდოებულთ, შემდგომი წარმატებები უსურვა მათ. (საქინფორმი).

# საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გაერთიანების პლენუმი

**23 ნოემბერს** გაიმართა რესპუბლიკის კომპოზიტორთა V ყრილობის მიერ არჩეული საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის პლენუმი. საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის სამდივნო თავმჯდომარედ არჩეულია სსრ კავშირის სახალხო არტისტი **ა. ბალანჩივაძე.**

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის პირველ მდივნად არჩეულია მუსიკათმცოდნე **გ. ორჯონიკიძე,** მდივნებად — კომპოზიტორები **ნ. გაბუნია, ნ. მამიასაშვილი, მ. დავითაშვილი.**

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია კომპოზიტორი **ი. გეჯაძე.**

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, **ვ. ხიჩაძე** და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე **ნ. ჩერქეზიშვილი.**

(საქინფორმი).

# დირექტორები თათბირობენ

ბაბილისის ხელსაწყოების ქარხანაში ორ დღეს თათბირობდნენ სრულიად საკავშირო გაერთიანება „საკელექტრონელსაწყოს“ საწარმოთა და ორგანიზაციათა დირექტორები.

განხილეს ხუთწლედის მესამე: გადამწყვეტი წლის გეგმა და სოციალისტური ვალდებულებანი. თავიანთი კოლექტივების საქმიანობა მიმდინარე წლის დამდეგიდან გააანალიზეს ქვეყნის ელექტროხელსაწყოთსაშენებელი საწარმოების დირექტორებმა.

გამამართა სჯა-მაასი სასაქონლო-მატერიალური ღირებულებათა ზონრმატეული მარაგის შემცირების, ანგარიშსწორებისა და სახსრების ბრუნვაადობის დაჩქარების დიდმნიშვნელოვან პრობლემებზეც. კონკრეტული მაგალითებით ცხადყვეს, თუ როგორ ამცირებენ სასაქონლო ნარჩენებს სისტემის საწარმოთა ელექტროები. ამ საქმეში დაკრედილი მოწინავე გამოცდილება მოიწონა დირექტორთა საბჭომ.

საბჭომ განიხილა აგრეთვე კაპიტალური მშენებლობის გეგმის შესრულების, სისტემის საწარმოთა და ორგანიზაციათა ურთიერთკოოპერირებული მიწოდებების მოგვარების მთელი რიგი აქტუალური საკითხები.

# კ. ტანაკას განცხადება

**ტოკიო,** 23 ნოემბერი. (საკდესი). ისრაელმა რაც შეიძლება მალე უნდა დატოვოს ტერიტორიები, რომლებსაც ოკუპაცია უყო 1967 წლის ომის დროს, განაცხადა ტელევიზიით გამოსვლისას იაპონიის პრემიერ-მინისტრმა კაკუეი ტანაკამ.

თუ ეს არ მოხდა, ხაზი გაუსვა პრემიერ-მინისტრმა, იაპონიის მთავრობამ უნდა გადასინჯოს თავისი ურთიერთობა. ისრაელთან.

იაპონიის მთავრობის წინათ გამოქვეყნებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ იაპონიის მთავრობა მხარს უჭერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციას, რომელიც ითვალისწინებს ისრაელის ჯარების გაყვანას ყველა ოკუპირებული არაბული ტერიტორიიდან.

# გაქვიდნენ ღია კოსმოსში

**ნიუ-იორკი,** 23 ნოემბერი. (საკდესი). ორბიტული სადგურის „სკაილაბის“ ეკიპაჟის წევრები უ. პოუგი და ე. გიბსონი წარმატებით გავიდნენ ღია კოსმოსში. ამ პირველი გასვლის დროს იქ დაჰყვეს 6 საათი და 35 წუთი და შეასრულეს გათვალისწინებულ სამუშაოთა გეგმა. კოსმონავტებმა შეცვალეს ფირიანი კასეტი ასტრონომიულ ხელსაწყოთა კომპლექტში და შეაკეთეს ბუნებრივი რესურსების კვლევისათვის განკუთვნილი ერთ-ერთი ხელსაწყოს ანტენა.

23 ნოემბერს დაახლოებით 8 საათს და 20 წუთზე მოსკოვის დროით პოუგი და გიბსონი დაბრუნდნენ ორბიტულ სადგურში.

# განიხილეს პრობლემები

## დამთავრდა დასავლეთ ევროპის კავშირის ასამბლეის სესია

პარიზი, 23 ნოემბერი. (საკდესი). მუშაობა დაამთავრა დასავლეთ ევროპის კავშირის ასამბლეის სამი დღის სესიამ. ამ კავშირში შედიან ინგლისი, საფრანგეთი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, იტალია, ბელგია, ჰოლანდია და ლუქსემბურგი. ეს სამხედრო-პოლიტიკური დაჯგუფება მჭიდროდ დაკავშირებულია ნატოს აგრესიულ ბლოკთან და კოსმოლტანციურ როლს ასრულებს.

ახლანდელი სესიის მსვლელობაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ახლო აღმოსავლეთის ამასწინანდელი კონფლიქტის შედეგებმა. დასავლეთ ევროპის კავშირის ქვეყნების ნავთობით მომარაგების საკითხებსა და დასავლეთ ევრპის ჯამწვავებულ ენერგეტიკულ პრობლემებს მიეძღვნა მთელი რიგი მოხსენებანი და რეკომენდაციები. რომლებიც სასწრაფო წესით მოამზადოს დასავლეთ ევროპის კავშირის კომისიებმა.

## გაცვლა დამთავრდა

**ქენევა,** 23 ნოემბერი. (საკდესი). წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა გამოაცხადა, რომ დამთავრდა ეგვიპტეს და ისრაელს შორის სამხედრო ტყვეების გაცვლა, რომელიც 15 ნოემბრიდან მიმდინარეობდა კომიტეტის მეთვალყურეობით.

# აქტიურად გავუწიოთ პროპაგანდა სკკპ ლენინურ საგარეო-პოლიტიკურ კურსს

**ბაკო,** 23 ნოემბერი. (აზერინფორმის კორ.). ბაკოში ორ დღეს მიმდინარეობდა. ზონალური თათბირ-სემინარი, რომელიც მიეძღვნა სკკპ საგარეო-პოლიტიკური კურსის პროპაგანდის აქტუალურ საკითხებს. თათბირ-სემინარში, რომელიც მოაწყვეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, პროპაგანდის განყოფილებამ, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის ეურნალისტთა კავშირმა, მონაწილეობდნენ საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, ჩრდილოეთ კავკასიის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების იდეოლოგიური დარგის მუშაკები.

სომხეთის კომპარტიის მის მონაწილეებს აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით მიესალმა რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. ბ. გულიევი.

მოისმინეს მოხსენებანი: ჟურნალ „ნოვოე ვრემიას“ მთავარი რედაქტორის ბ. ა. ნაუმოვისა — „საბჭოთა ლიტერატურა, დემოკრატიული მშვიდობისათვის ბრძოლა, ხალხთა უშიშროება და საერთაშორისო თანამშრომლობა“; სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო სოციალისტური სისტემის ეკონომიკის ინსტიტუტის სწავლული მდივნის ა. ი. შაბალინისა — „სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის მთავარი მიმართულება“, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის დ. ბ. გულიევისა — „მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი და საგარეო-პოლიტიკური პროპაგანდის საკითხები“, ჟურნალ „მეჟდუნაროდნაია ჟიზნის“ მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილის პროფესორ შ. ბ. სანაკოევისა — „თანამედროვე ეტაპზე საერთაშორისო ურთიერთობის ზოგიერთი თავისებურების შესახებ“, „პრავდის“ სარედაქციო კოლეგიის წევრის, გაზეთის საგარეო-პოლიტიკური მიმომხილველის ვ. ვ. ოვჩინიკოვისა — „აზიის კოლექტიური უშიშროებისა და თანამშრომლობის პრობლემა“; ახალი ამბების სააგენტოს საგარეო-პოლიტიკური მიმომხილველის ვ. ბ. ნიკულინისა — „ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური მდგომარეობა“.

# ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲘᲡ ᲔᲤᲔᲥᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲘ

ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ მეურნეობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, მე-9 ხუთწლედის დადგომისათვის წარმოებული განაღდებისათვის ბრძოლის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შრომის ნაყოფიერების ამაღლების რეზერვების გამოვლინებასა და ამოქმედებას.

შრომის ნაყოფიერების ამაღლებაზე მოქმედ ფაქტორთა შორის განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მატერიალური წახალისების სისტემის მუდმივ სრულყოფას, ასევე, უფრო ეფექტიანი ფორმების ძიებას. უკანასკნელ ხანს ფართო გავრცელება ჰპოვა შრომის ნაყოფიერების ამაღლების ზნეგანმოქმედთა მეთოდით მუშაობამ. ეს მეთოდი, როგორც ცნობილია, ძირითადად დროითი ანაზღაურებით მომუშავეთა მატერიალურ წახალისებას ითვალისწინებს, რაც შრომის ნაყოფიერების ამაღლებას ეფექტიან საშუალებად იქცა.

შრომის ნაყოფიერების ამაღლების გზების ძიება კიდევაც გრძელდება. ახლახან პრესაში გამოქვეყნდა ცნობები როსტოვის საწარმოო გაერთიანება „ᲩᲘᲑᲘᲠᲝᲛᲔᲠᲘᲩᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ გამოცდილების შესახებ. ამ გაერთიანების სათაო საწარმოში აქსის პლასტმასების ქარხანაში შეიმუშავეს ნორმების საკუთარი ინდივიდუალით გაზრდის მატერიალური წახალისების სისტემა. ამ სისტემის არსი შემდეგში მოდამარებულა: თუ მუშა საკუთარი ინიციატივით ზრდის გამომუშავებულ პროდუქციას 10 პროცენტით, შემდეგნო სამი თვის განმავლობაში ეკონომიის ნახევარი მკლევარ მას ერთდროულად პრემიის სახით. ხოლო თუ ნორმას ზრდა შეადგენს 15-20 პროცენტს, პრემიის სახით გაიცემა უკვე მომდევნო 6 თვის განმავლობაში ეკონომიის ეკონომიის ნახევარი. ამასთან, პრემია გაიცემა მხოლოდ, ახალი ნორმის მოქმედებაში შესვლის შესახებ ბრძანების გამოქვეყნებისთანავე.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ დირექცია, მუშას ანანსად აძლევს პრემიის მის მიერ გამოჩენილი ინიციატივისათვის. იგულისხმება, რომ პრემიაზე ფარჯული სახსრები მრავალწლის ანაზღაურება.

თუ ნორმა ჯეუფური და ბრიგადები მისი მიხედვით მუშაობენ, ნორმების გადიდება მხოლოდ ბრიგადის ყველა წევრის თანხმობით შეიძლება მოხდეს.

როგორც აღვნიშნეთ, გამომუშავების ნორმების გადასინჯვით მიღებული ეკონომიის ნახევარი გაიცემა, თბილისელი ელმავალმშენებლები აღნიშნული ეკონომიური ეფექტანობისათვის მხოლოდ სამი თვის ეკონომიის ნახევარს გასცემენ პრემირებისათვის. შრომატევადობის 20 და მეტ პროცენტით შემცირებაა საჭირო, რომ მუშამ მოძავალი ექვსი თვის განმავლობაში მიღებული ეკონომიის 50 პროცენტი მიიღოს ჯილდოს სახით.

თბილისელი ელმავალმშენებლები შეტ ყურადღებას აქცევენ ბრიგადულ მატერიალურ წახალისებას. თუ შრომატევადობის შემცირება მთელი ბრიგადის მასშტაბით ჩატარდა, მაშინ პრემია ბრიგადის წევრებს მიეცემათ

## ᲒᲐᲛᲝᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲜᲝᲠᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲔᲤᲔᲥᲢᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲬᲧᲐᲠᲝ

მიღებული ეკონომიის 60 პროცენტის ოდენობით.

ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გამომუშავების ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების დანერგვას და პროდუქციის შრომატევადობის შემცირების საქმეში საამქროს უფროსების, წარმოების უშუალო ორგანიზატორების — ოსტატების, ნორმადადგენლების აქტიურ, შემოქმედებითს მონაწილეობას. თბილისის ელმავალსამშენებლო ქარხნის პრემირების დებულება ამ კატეგორიის მუშაკთა წახალისებასაც ითვალისწინებს. ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების დანერგვით ან ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიების განხორციელებაში შრომატევადობის შემცირების გეგმის შესრულებისათვის აღნიშნული კატეგორიის მუშაკები პრემიას მიიღებენ ხელფასის თვიური განაკვეთის 10 პროცენტის ოდენობით, ხოლო თუ უბანმა ან საამქრომ მთლიანად შრომატევადობის გეგმა წარმატებით შეასრულა, პრემიის ოდენობა კიდევ 50 პროცენტით გაიზრდება. ყოველწლიურად მნიშვნელოვანი თანხები გაიცემა პრემიის სახით პროდუქციის შრომატევადობის 15-20 პროცენტით შემცირებისას პრემიის სახით ექნები თვის ეკონომიის ნახევარი გაიცემა, თბილისელი ელმავალმშენებლები აღნიშნული ეკონომიური ეფექტანობისათვის მხოლოდ სამი თვის ეკონომიის ნახევარს გასცემენ პრემირებისათვის. შრომატევადობის 20 და მეტ პროცენტით შემცირებაა საჭირო, რომ მუშამ მოძავალი ექვსი თვის განმავლობაში მიღებული ეკონომიის 50 პროცენტი მიიღოს ჯილდოს სახით.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡᲘ ᲔᲚᲛᲐᲕᲐᲚᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲛᲔᲢ ᲧᲣᲠᲐᲦᲒᲘᲡᲐ ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠ ᲬᲐᲮᲐᲚᲘᲡᲘᲡᲐᲛ. ᲗᲣ ᲨᲠᲝᲛᲐᲢᲔᲕᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲒᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲦᲬᲔᲠᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲘᲡ ᲜᲐᲮᲕᲔᲕᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲘᲡ ᲜᲐᲮᲕᲔᲕᲠᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲐᲗᲐ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ ᲗᲜᲮᲐᲜᲘ ᲒᲐᲒᲝᲪᲓᲘᲚ

# იქვლევენ გულს

გულის და სისხლძარღვების დაავადებათა უკეთ გამოცნობისა და მკურნალობის საკითხებზე მუშაობენ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მეცნიერი მედიკები. ამ დიდხანშვნელოვანი პრობლემის გადაჭრაში თავიანთი წვლილი შეაქვთ ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა მკვლევარებსაც. გულ-სისხლძარღვთა დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლაში მოპოვებული მიღწევები მოახსენეს მათ ქვეყნის ახალგაზრდა კარდიოლოგთა პირველ სამეცნიერო კონფერენციას. რომელმაც მუშაობა დაამთავრა თბილისში.

ორი დღის მანძილზე მოისმინეს პაპერტრონის, იშემიური დაავადების, გულის უკმარისობისა და მანკის პროფილაქტიკის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის საკითხებისადმი მიძღვნილი 50-მდე მოხსენება.

საინტერესო ნაშრომები, რომლებიც ეძღვნება გულ-სისხლძარღვთა დაავადებების კვლევის ახალ მეთოდებს, იმ სხვადასხვა მექანიზმის კვლევას, რომლებიც საფუძვლად უდევს ჟეიესა და სისხლძარღვების პათოლოგიას, წარმოადგინეს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მ. დ. წინამძღვრიშვილის სახელობის კლინიკურ და ექსპერიმენტალურ კარდიოლოგიის ინსტიტუტის. სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ა. ლ. მიასნიკოვის სახელობის კარდიოლოგიის ინსტიტუტის, კუნასის სამედიცინო ინსტიტუტთან არსებული გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის ინსტიტუტის, სომხეთის სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ლ. ა. ოგანესიანის სახელობის კარდიოლოგიის ინსტიტუტისა და სხვა ინსტიტუტების ახალგაზრდა მეცნიერებმა.

შინაარსიანი მოსხენება წაიკითხა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკიდან ჩამოსულმა ახალგაზრდა მეცნიერმა ი. ცენოვმა.

განმარტა რა კონფერენციის შედეგები, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კარდიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა ვ. ქავთარაძემ საქინფორმის კორესპონდენტს უთხრა:

— ახალგაზრდა მეცნიერთა მეცნიერული გამოკვლევის შედეგები, რომლებსაც საფუძვლად უდევს კლინიკური და ექსპერიმენტული დაკვირვებანი, უეჭველად დიდი მეცნიერული მნიშვნელობისაა. ისინი მოწმობენ, რომ მკვლევარები სწორ გზას ადგანან. ახალგაზრდა კარდიოლოგებმა დამაჯერებლად დაამტკიცეს, რომ ფლობენ კვლევის ყველა ძირითად თანამედროვე მეთოდს. კერძოდ, მოისმინეს შინაარსიანი ინფორმაციები კლინიკური ნამუშევრების შესახებ, რომლებშიც გამოყენებულია კვლევის უახლესი — ელექტროკარდიოგიური, რადიოლოგიური, მორფოლოგიური, იმუნოლოგიური, გენეტიკური მეთოდები. განსაკუთრებით საინტერესოა ბიოქიმიური გამოკვლევანი მთელ ორგანიზმში და, კერძოდ, გულის კუნთში ნივთიერებათა ცვლის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების განსაზღვრის შესახებ.

მომდევნო კონფერენცია გადაწყვეტილია გაიმართოს გაისად ერევანში. (საქინფორმი).

## საბჭოთა კავშირ-ამერიკის კონტრაქტი

23 ნოემბერს მოსკოვში სრულიად საკავშირო გაერთიანება „ტექმანქანაიმპორტმა“ და ამერიკის ფირმა „ლუმუს კომპანიამ“ ხელი მოაწერეს კონტრაქტს, რომ შერეთბულმა შტატებმა საბჭოთა კავშირს მოაწოდოს კომპლექტური მოწყობილობა, რომელიც წელიწადში მეთანოლისაგან აწარმოებს 150 ათას ტონა ძმარმჟავას — დიდმნიშვნელოვან ქიმიურ პროდუქტს, რომელსაც იყენებენ სინთეზური ბოჭკოების, პლასტიკური მასებისა და საღებავის საშუალებათა დამზადებისას.

მთელ მოწყობილობას ამერიკის ფირმები დაამზადებენ და გამოგზავნიან 1974-1976 წლებში.

## ამერიკელი კოსმონავტები ქალაქში

ქალაქი. 22 ნოემბერი. (საპრესინფორმ. ნ. ალექსანდროვი). დღეს ქალაქელები გულთბილად შეხვდნენ საბჭოთა კოსმონავტებსა და მათ ამერიკელ კოლეგებს. რომლებმაც დაიწყეს მზადება „სოიუზ“-„აპოლონის“ პროგრამით ერთობლივი კოსმოსური ექსპერიმენტისათვის.

ძველი ცაცხვნარი ქალაქის სამხრეთ-დასავლეთ გარეუბნებში — აქ აღმასრულებელ კ. ე. ციოლკოვსკის ძეგლი. რუსი მეცნიერისადმი დიდი პატივისცემის ნიშნად სსრ კავშირის კოსმონავტმა ფორნავეკმა, ალექსეის საპატონ მოქალაქეებმა ა. ლეონოვმა, ვ. კუბასოვმა, ბ. ფილიპჩენკომ და მათმა ამერიკელმა კოლეგებმა ტ. სტაფორდმა, დ. სლეიტონმა, ა. ბინმა, დ. ლუსმამ და სხვებმა გვირგვინებით შეამკეს ძეგლი. კოსმონავტებმა პატივი სცეს ავრეთვე საბჭოთა მეომრების ხსოვნას, ყვავილებით შეამკეს მარადიულ ცეცხლთან აღმართული მონუმენტი გამარჯვების მოედანზე.

კოსმონავტები იყვნენ მემორიალურ სახლში ოკის ნაპირზე, რომელშიც ცხოვრობდა და მუშაობდა ვ. ე. ციოლკოვსკი, დაათვალიერეს კოსმონავტიკის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი. მუზეუმის ექსპოზიციაში საბჭოთა სარაკეტო და კოსმოსური ტექნიკის ნიმუშებთან ერთად წარმოდგენილია ამერიკული მატარებელი რაკეტის „სატურნის“ და ორბიტული სადგურის „სკაილების“ მოდელები. მუზეუმის სპეციალური გამოფენა ეძღვნება სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების თანამშრომლობას კოსმოსის კვლევაში.

სტუმრები მიიღეს საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, კოსმონავტიკის ისტორიის მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით მათ გადაეცათ სამკერდე მედლები, რომლებზეც გამოსახულია კ. ე. ციოლკოვსკი.

ქომუნისტი
მე-3 გვერდი, შაბათი,
24 ნოემბერი, 1973 წ.

# მსოფლიო დღეს

## ·ქვეყნად მუშვიდობისათვის

### ინდოეთის პრესა ლ. ი. ბრეჟნევის მომავალი ვიზიტის შესახებ

დელი, 22 ნოემბერი. (საკდესი). ინდოეთის საზოგადოებრიობის ფართო წრეები მხურვალედ მიესალმებიან სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მომავალ ვიზიტს.

ჟურნალ „ხოვიეტ ლენდში“ ინდოეთის ეროვნული კონგრესის პარტიის თვალსაჩინო მოღვაწე ჰენრი ოსტინი წერს: „ინდოეთის პოლიტიკურ წრეებში უდიდესი ენთუზიაზმით შეხვდნენ ცნობას სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მომავალი ვიზიტის შესახებ. გვჯერა, როგორ ეს მოვლენა ხელს შეუწყობს ჩვენი დიდი ხალხების მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცების საქმეს“.

ინდოეთის პროგრესული საზოგადოებრიობის სახელით „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატი არუნა ასაფ ალი ხაზს უსვამს: „ვიზიტი გაიმართება ისტორიის ფრიად დიდმნიშვნელოვან პერიოდში, როცა მსოფლიოში ხდება ცვლილებანი მშვიდობის განმტკიცების სასარგებლოდ. ლ. ი. ბრეჟნევის მომავალი ვიზიტი ერთხელ კიდევ ცხადყოფს იხვადასხვა სოციალური და ხაზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების წარმატებით განხორციელებას“.

# აქტუალური წინადადება

### გენერალურ ასამბლეაზე

ნიუ-იორკი, 22 ნოემბერი. სპეციალური კორესპონდენტი ნ. სემენოვი გვატყობინებს:

გაერთიანებულთა ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXVIII სესია კვლავ იხილავს დღის წესრიგის დიდმნიშვნელოვან და სასწრაფო საკითხს — საბჭოთა წინადადებას „გაერთიანებულთა ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი სახელმწიფოების სამხედრო ბიუჯეტების 10 პროცენტით შემცირებისა და განკარგულებადი ქვეყნების დასახმარებლად დაზოგილი სახსრების ნაწილის გამოყენების შესახებ“.

სსრ კავშირის ამ ინიციატივის განხილვის დროს, რომელიც დასასრულის წინა დღეებში სავსებით მოიწონეს ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, მონგოლეთის, ალჟირის, სირიის, კუბეიტისა და სხვა ქვეყნების დელეგაციებმა, გაჩნდა გამოვიდნენ აგრეთვე ეგიპტის არაბთა რესპუბლიკის, კოლუმბიის, ფინეთის წარმომადგენლები.

ერთადერთი ორატორი, რომელიც კატეგორიულად გაილაშქრა საბჭოთა წინადადების წინააღმდეგ, იყო ჩინეთის წარმომადგენელი. პეკინის დელეგატი უსაფუძვლოდ ცდილობდა საეჭვოდ გაეხადა სსრ კავშირის ინიციატივა და ამისათვის მიმართა უხეშ გამოხდომებს განკითხვებიდან ქვეყნების მიმართ საბჭოთა პოლიტიკის წინააღმდეგ.

მაოისტის ცილისმწამებლურ მონაჭორებს დასაბუთებული ბასური გასცა სსრ კავშირის მოდგმამ წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ი. ა. მალიკმა.

ჩინეთის დელეგაცია, თქვა ი. ა. მალიკმა, სიტყვით გვარწმუნებს, თითქოს განიარაღების მომხრე

## მემარჯვენეთა გამოსდომა

**ლიმა, 23 ნოემბერი. (საკდესი).** პერუს საზოგადოებრიობის მკვეთრი პროტესტები გამოიწვია რეაქციული ძალების გამოხდომამ ქვეყნის სამხრეთის პუნსოა და არეკიპის დეპარტამენტებში. როგორც ცნობილია, ამ რაიონებში რეაქციის მიერ პროვოკაციულად გამოწვეულ არეულობასთან დაკავშირებით მთავრობა იძულებული გახდა შემოეღო ექ საგანგებო წესები. ადმინისტრაციული ძალაუფლება ადგილებზე სამხედრო სარდლობას გადეცა, შემოღებულია კომენდანტის საათი. ადგილობრივმა პოლიციამ აღმოაჩინა და ჩამოართვა მემარჯვენე ექსტრემისტებს მნიშვნელოვანი რაოდენობის სასროლი იარაღი, საომარი მასალა და, თვითნაკეთი ქვიცხლგამძლე ბომბები.

ხულიოსფდოლი მტკიცე ღონისძიებების მეთხებით ვითარება მუნოსა და არეკიპის დეპარტამენტებში სულ უფრო ნორმალური ხდება. განახლდა საჯარო საწარმოებისა და სასწავლებლების მუშაობა. ადგილობრივი მცხოვრებნი ხელს უწყობენ საზოგადოებრივი წესრიგის ორგანოებს.

გამოვიდა რა ლიმაში, პერუს პრემიერმინისტრი ხუან ველასკო ალვარადომ გადაჭრით დაგმო კონტრრევოლუციური ელემენტების მოქმედება. ჩვენი რევოლუცია ძლიერია და ხალხის მხარდაჭერას ეყრდნობა, თქვა მან.

მემარჯვენეთა პროვოკაციული გამოხდომის წინააღმდეგ გადაჭრით გაილაშქრეს ავრეთვე არეკიპისა და პუნოს დეპარტამენტების მოქმაო, სტუდენტთა და სხვა მასობრივი ორგანიზაციებმა.

## მორიგი სხდომა

ვენა, 22 ნოემბერი. (საკდესი). დღეს აქ გაიმართა ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალების და შეიარაღების შერთიერთშემცირების შესახებ მოლაპარაკების მონაწილეთა მორიგი კლენარული სხდომა.

მოკლე ცნობები

# სოციალიზმის ქვეყნებში

## თანამშრომლობის ობიექტი

ბელგრადი. 25 წელია იუგოსლავიის ძალაქ ლუკავაცში მუშაობს ბორის კიდრიჩის სახელობის კოსმოქიმიური კომბინატი, რომლის კოლეტივი სოციალისტურ შშენებლობაში მოპოვებული წარმატებებისათვის დაჯილდოებულია შრომის ორდენით; იგი კოქსით ამარაგებს იუგოსლავიის მეტალურგიული ქარხნების უმრავლესობას.

კომბინატი საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ეკონომიური თანამშრომლობის ერთ-ერთი ობიექტია. კომბინატის ერთ-ერთი მოქმედი საკოქსე ბატარეა სამი ბატარეიდან, რომლებიც წელიწადში 550 ათას ტონაზე მეტ კოქს იძლევიან, დაპროექტეს და აშენებდნენ საბჭოთა ორგანიზაციები. ამჟამად კომბინატში შენდება მეოთხე საკოქსე ბატარეა, მისი პროექტიც შეიმუშავეს საბჭოთა სპეციალისტებმა.

(საკდესი).

პოლონეთი. ალუმინის კომბინატი „ონინი“, რომელიც 60 მსხვილ ობიექტს აერთიანებს — სოციალისტური ქვეყნების ეკონომიური ინტეგრაციის ერთ-ერთი შესანიშნავი მაგალითია. მის საამქროებში სამამულო წარმოების მანქანებთან ერთად დგას სსრ კავშირის ან ჩეხოსლოვაკიის ტექნიკა. კომბინატი ნედლეულს ძირითადად უნგრეთიდან იღებს.

სურათზე: კომბინატის ერთ-ერთ საამქროში.

ცაფ-საკდესის ფოტო.

## მაჩეტერლსები — პლანტაციებში

ჰავანა. კუბაში დაიწყო შაქრის ლერწმის მოსავლის აღება. ქვეყნის ძირითადი სიმდიდრის — ამ სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლის პირველი პარტია მისცეს სახელმწიფოს მაჩეტერლსებმა — ლესვილისისა და კამაგუეის პროვინციათა ლერწმის მჭრელებმა. წელს კუბაში მნიშვნელოვნად გაფართოვდა შაქრის ლერწმის პლანტაციები. ამ სეზონში გათვალისწინებულია კიდევ უფრო ამაღლდეს მოსავლის მექანიზებული ფდების დონე, კერძოდ, „კტპ-1“ ლერწამსაჭრელი კომბაინების უფრო ფართო გამოყენების გზით, რომლებიც კუბელმა და საბჭოთა ინჟინრებმა შექმნეს. (საკდესი).

# მატრას მომავალი

ბუდაპეშტი. მატრა უნგრეთ მშრომელთა დასვენების ერთ-ერთი საყვარელი რაიონია. ქვეყნის ჩრდილოეთში თვალწარმტაცი მთის მხარე იზიდავს ასობითასობით ტურისტსა და დამსვენებელს.

ამ რაიონში სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, ტურისტული ცენტრების ქსელის შემდგომი განვითარება ფერხდებოდა მთებში წყლის უკმარობის გამო.

ამ დღეებში დაბა ჩორტეტს მახლობლად დამთავრდა 27 მეტრი სიმაღლისა და 200 მეტრი სიგრძის მიწის კაშხალის მშენებლობა, რომელმაც ეზა გადაუღობა წყლის ჩადინებას ჩორტეტის ხეობიდან. ზამთარში დაიწყება მატრას ყველაზე ღრმა ხელოვნური წყალსაცავის ავსება, რომელიც მილიონ კუბურ მეტრ წყალს დაიტევს.

# ხიდი ბოსფორზე

თურქეთში გაიხსნა მოძრაობა ახალ ხიდზე, რომელიც გადებულია ბოსფორზე და რომელმაც ერთმანეთს დაუკავშირა ევროპა და აზია. ხიდი, რომლის მშენებლობა დაიწყო 1969 წელს, ერთ-ერთი უდიდესია მსოფლიოში. მისი სიგრძე კილომეტრნახევარზე მეტია. 64 მეტრ სიმაღლეზე ფოლადის ბაგირებით დაკიდებული ნახევარი მეტრი სიანჯის ხიდის ქვეშ თავისუფლად შეუძლიათ იმოძრაონ საოკეანო ხომალდებმა. მისი 33 მეტრი სიგანის სავალი ნაწილი უზრუნველყოფს ორმხრივ მოძრაობას სამ რიგად.

გამტარუნარიანობა ასეთია გათვალისწინებული: 20 ათასი ავტომანქანა დღეღამეში ორივე მიმართულებით, ბოსფორის ხიდს უდიდესი ეკონომიური მნიშვნელობა ექნება თურქეთისათვის.

* * *

სურათზე: ორი კონტინენტის დამაკავშირებელი კიდული ხიდი ბოსფორზე.

ბეისტონ-საკდესის ფოტო.

## ვ. შემლი ლონდონში

ლონდონი, 22 ნოემბერი. (საკდესი). დღეს ლონდონში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ვ. შელი. მას მოლაპარაკება ექნება ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრთან ა. დუგლას-ჰიუმთან, აგრეთვე შეხვდება პრემიერ-მინისტრს ე. ჰიტს. არსებული ცნობების თანახმად, მოლაპარაკების დღის წესრიგში შეტანილია ევროპის საკითხები, როგორიცაა ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობა, დასავლეთის ქვეყნების ენერგეტიკული კრიზისი, ნატოსა და „საერთო ბაზრის“ პრობლემები, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ურთიერთობა. გარაუდობენ, რომ მინისტრები განიხილავენ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობისადმი მიძღვნილი თათბირის მეორე ეტაპის მუშაობას და ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირების შესახებ მოლაპარაკების მიმდინარეობას.

## მთავრობა ბრალს სდებს

კანბერა, 23 ნოემბერი. (საკდესი). ავსტრალიის მთავრობამ ბრალად დასდო ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, რომ ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის გაძწვავების დროს ამერიკის შეერთებული შტატების ავსტრალიის სამხედრო ბაზებში საბრძოლოდ გაამზადეს ამერიკის ჯარები ისე, რომ წინასწარ არ მქონიათ კონსულტაციები ავსტრალიის მთავრობასთან.

ავსტრალიის პრემიერ-მინისტრმა ედვარდ გოფ უიტლემმა წარმომადგენელთა პალატაში გამოსვლისას ხაზი გაუსვა, რომ ავსტრალიისა და ამერიკის შეერთებული შტატების შეთანხმებებით გათვალისწინებულია მონაწილე ქვეყნების მთავრობათა წინასწარი კონსულტაციები ასეთ შემთხვევებში.

## მძარცველთა წინააღმდეგ

ფუჯეირა. „საან-სეანის“ ფირმამ ლონდონს მიაწოდა სპეციალური ავტომობილი ოქროსა და სხვა ფასეულობის გადასაზიდად. ჯავშნიან ავტომობილს აქვს ტყვიაგაუმტარი მინები; სპეციალური ამბრაზურები დაცული საშუალებას აძლევენ ეფექტიანად მოიგერიოს შეიარაღებულ ბანდიტთა თავდასხმა, რაც ასე გაზშირდა ინგლისის დედაქალაქში.

ინგლისის ფირმა „ბრინქს-მატის“ აზრით, რომელმაც ეს მანქანა შეუკვეთა, ჯავშნიან ავტომობილებს ფართოდ გამოიყენებენ ოქროსა და სხვა ფასეულობის გადასაზიდად.

## სტიქიის მსხვერპლნი

65 ათასი კოლუმბიელი დარჩა უსახლკაროდ წყალდიდობის შედეგად, რომელიც გამოიწვია განუწყვეტელმა კოკისპირულმა წვიმებმა, განადგურებულია ნათესები, დაიღუპა დიდძალი პირუტყვი.

განსაკუთრებით დაზარალდა კოლუმბიის ჩრდილო-აღმოსავლეთი პროვინციები. ხელისუფლებმა ეს რაიონები გამოაცხადეს საგანგებო წესების ზონად. ახორციელებენ ზეადამიანური ღონისძიებებს.

## მეწარმეთა მიზეზით

7 მუშა დაიღუპა თურქეთის ჩორუმის პროვინციის შახტში ჩამოქცევის შედეგად. ადგილობრივი პრესის ცნობებით, კატასტროფა მოხდა შახტის მფლობელთა მიზეზით, რომლებიც უგულებელყოფდნენ უსაფრთხოების ტექნიკას.

ახალი ავმების საბაგენტოს და საკდესის მასალების მიხედვით.

ეთანამედროვე
პემგები

# გამოჩენილი მეცნიერი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე

ეს სურათი გადაღებულია გუშინ აკადემიკოს ვ. კუპრაძის ხაიშენელი საღამოზე. წინა კალენდარზე იუბილარი.

ვლ. გინზბურგის ფოტო.

**გუშინ საქართველოს საზოგადოებრიობამ გულითადი სიყვარულით აღნიშნა აკადემიკოს ვიქტორ კუპრაძის დაბადების 70 წლისთავი**

აკადემიკოს ვიქტორ კუპრაძის სახელი ფართოდ არის ცნობილი როგორც საბჭოთა კავშირში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ის ავტორია მრავალი ფუნდამენტური ნაშრომისა მექანიკისა და მათემატიკის დარგში. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ აკადემიკოსმა ვიქტორ კუპრაძემ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა მათემატიკისა და მექანიკის ზოგიერთი დარგის შემდგომ განვითარებასა და სრულყოფაში. ის ახალგაზრდა მეცნიერი კადრების საუკეთესო მეგობარი და ხელმძღვანელია. ამით ახსნება ის ფაქტი, რომ მას ჰყავს მრავალრიცხოვანი მოწაფე და მიმდევარი. ახალგაზრდობას ის ზრდის არა მარტო თავისი მეცნიერული მიღწევებით, კონსულტაციებით, ლექციებითა და ხემინარებით, არამედ უმწყვლო ცხოვრებისა და დაუშრეტელი შრომის პირადი მაგალითით.

ვ. კუპრაძეს შესწევს იმის უნარი, რომ დიდ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას შეუთავსოს ნაყოფიერი სახელმწიფო-საზოგადოებრივი მუშაობა. წლების მანძილზე ის ასრულებდა ფრიად პასუხსაგებ მოვალეობებს: იყო კომკავშირული გაზეთების რედაქტორი, საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი და სასკოლო განყოფილების გამგე, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტის სწავლული მდივანი, თბილისის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი და შემდეგ რექტორი (1954-1958 წწ), საქართველოს სსრ განათლების მინისტრი. არჩეული იყო საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის წევრად, საქართველოს მათემატიკური საზოგადოების პირველ პრეზიდენტად. ვ. კუპრაძე ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილებას. ეს უბრალო ჩამოთვლაც კი აშკარად მეტყველებს იმ სახელოვან გზაზე, რომელიც განვლო ღვაწლმოსილმა იუბილარმა.

ვიქტორ დიმიტრის-ძე კუპრაძე დაიბადა ქუთაისში 1903 წლის 2 ნოემბერს რკინიგზელის ოჯახში. 1922 წელს ქუთაისის რეალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. უნივერსიტეტი წარჩინებით დაამთავრა 1927 წელს და ანდრია რაზმაძისა და ნიკო მუსხელიშვილის წარდგინებით დატოვებულ იქნა უნივერსიტეტში საელექტრომაგნიტური მოდეფენებისათვის მოსამზადებლად. 1927-1930 წლებში იგი მუშაობდა ასისტენტად უნივერსიტეტსა და პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

უნივერსიტეტში სწავლის დროს ნიკო მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით მან შეასრულა და გამოქვეყნა პირველი მეცნიერული ნაშრომი. 1930 წელს ვ. კუპრაძე ჩაირიცხა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტად ქალაქ ლენინგრადში. მას ხელმძღვანელობდნენ გამოჩენილი მეცნიერები ა. კირილოვი და ვ. სმირნოვი. ასპირანტურაში სწავლის პერიოდში იგი დაინტერესდა დრეკადობის თეორიის დინამიკური ამოცანებით, რომელსაც დიდი გამოყენება აქვს ბევრ პრაქტიკულ საკითხში, კერძოდ, სეისმოლოგიაში, ინტისე

ДАЖВИЦВАЛ ЪИЖВЕЛЕНИ
ЪУЛИГВАНТА ЪЕЛЖОФИСАГВАН

# ЖЕРОСТРАТЕС ХВАЛЧЕ

**РАЗИНЕ** პატარა იყოს, სოფელი თუ მასში ხელოვნების დიადი ძეგლი დგას, იგი მსოფლიო მნიშვნელობისა ხდება. ჩვენში ასეთ ძეგლებად ითვლება სვეტიცხოველი, გელათი, ალავერდი, ნიკორწმინდა, ზარზმა და სხვ. ისინი მსოფლიო ხელოვნების ისტორიაში შესული და მათ ხელფოფა საბჭოთა კანონმდებლობის მთელი სისასტიკით ისჯება. საბჭოეთში ორიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი „სახელის უკვდავსაყოფად" დიად ძეგლებს მის ფრესკებს სწორედ თავიანთი სახელებით ამახინჯებენ.

როგორც ცნობილია, ერთმა ბორტმა ბერძენმა — ჰეროსტრატემ თავისი „სახელის" უკვდავსაყოფად დიონისეს ტაძარი დაწვა. კაცობრობამ მას ხელოვნების, მხატვრობის წამებილწველი უწოდა. რაოდენ გულსტკივნია, რომ ჰეროსტრატეს მსგავს ადამიანებს ადგილის რაობაში ძველბერი ზარზმაძიც მიუღწევიათ.

ხულოს რაიონის სოფელ კორტოხის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ოთხეს შაინიძემ, რომელსაც ირაციონალურ მუყვანია მოსწავლეები ზარზმისა და სხალთის მონასტრების სანახავად, მიიხია: ზარზმის მონასტრის საუკუნოვან ფრესკებს ხულიგნება თავიანთ წარწერებით ბილწავენო. ჩვენ ვეწვიეთ ამ მონასტერს, რომელიც ს. ზარზმელს მეცხრე საუკუნეს მეორე ნახევარში (861-863 წწ.) აუგია. აქ მოღვაწეობდა ბასილ ზარზმელი. იგი ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში ცნობილია როგორც ავტორი „ეკრაპეონ ზარზმელის ცხოვრებისა". ამ ძეგლს და ნაწარმოებს ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვთ სამცხის უძველესი ისტორიის შესწავლისათვის. ზარზმა თანამედროვე მწერალთათვისაც შთაგონების წყარო გახდა. გრიგოლ აბაშიძემ 1947 წელს დაწერა პოემა „ზარზმის ზმანება".

იმ დღეს მონასტრის კარები დაკეტილი დაგვხვდა. ჩვენი მისვლა პირველად აქვე ახლოს მდებარე სამუალო სკოლის დირექტორმა ომარ გაგაშელმა გიჯო. ეს სკოლა ამ ძეგლის ეროვნულ დათაჯად ითვლება, არაეროხელ ყოფილა შემთხვევა, როცა მოწაფეებსა და მჯლაბელებს შორის შეხლა-შემოხლა გამართულა. მალე დარაჯი ვ. ლობეანიძეც მოვიდა და მონასტერში შევედით.

ჩვენს აღმფოთებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ზარზმის საუკუნოვანი ფრესკები მჯლაბელთა ხელით წარყვნილი აღმოჩნდა. ხულიგნები ისე გათავხედებულან, რომ მონასტერში საღებავებიც კი შეუტანიათ და ფრესკებზე წაუწერიათ: **გიორგი ვაშაკიძე, ეთერ ფანჯიკიძე, ვერა ასპანიძე, ვანია ხამადური, შოთა შერვაშიძე, ხერიოფა ალეკსიანი, ნანა ოკობილეული, კოლია ბერაძე, ვაჟა ჩხაიძე, ოკოშვილი ეკეზია.** ფრესკებზე ეხვდებათ ჯგუფურ წარწერებსაც: — **„ვიყავით 1968 წელს, ახალციხის სამედიცინო ტექნიკუმი, შუშანა ნიკოლოზის ასული, როცა ადგილნი კურსებზე წამოვედით"... „ვიყავით ბეშუმის მუზიკანტები 1. შოთია, 2. ნოდარ ბლიაძე, 3. გურამ ნიკოლაიშვილი, 4. ხაშა ჩხიკვიშვილი, 5. ვაშაკიძე"** და სხვ.

გარეთ გამოვედით, აქაც საღებავებით კედელზე სხვადასხვა ენაზე წაუწერიათ — **ვალიკო ლობეანიძე, ოკოშვილი ეკეზია...** ოკოშვილი ამდენად თავხედია, რომ მისი სახელი და გვარი ორჯერ შეგვხვდა შიგნით და გარეთ.

როგორც წესი, ჩვენში ყოველი სიძველის მისასვლელთან, კარებთან გაკრულია ანრა. მაგალითად, ხულის რაიონის სხალთის ხეობაში შედგარე მონასტრის კედელზე გაკრულია ასეთი განცხადება: **„სხალთა, გვიანი შუასაუკუნეები, დაცულია სახელმწიფოს მიერ, ძეგლის დამზიანებელი დაიხვრება კანონით".** ასეთი ანრა ზარზმის მონასტრის კედელზე გაკრული არ გვინახავს. აღმოჩნდა, რომ ანრა გაკეთებულია მხოლოდ რუსულ ენაზე და ისიც ჩაკეტილში ინახება.

ქართულ სიძველეთა დამზიანებლებმა პასუხი უნდა აგონ, რაიონის ხელმძღვანელობამ კი ლოგა მეტი ყურადღება გამოიჩინოს სიძველეებისადმი.

**ა. ბაჩეჩილაძე,**
**მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.**

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲙᲘᲠᲐᲡ
ზ. დათუაშვილის ფოტოტეუდი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲔᲘᲖᲐᲟᲔᲑᲘ

# ᲕᲘᲜ ᲨᲔᲐᲤᲐᲡᲐ ᲡᲣᲠᲐᲗᲘ?

**რედაქციას უპასუხებს საქართველოს სსრ მაბრობის სამინისტრო**

**ᲒᲐᲖᲔᲗᲘ** „კომუნისტის" ფურცლებზე დაიბეჭდა კ. გრიგოლავას კრიტიკული წერილი „ვინ შეაფასა სურათი?", რომელშიც ლაპარაკი იყო, რომ თბილისში არ არის სახვითი ხელოვნების ნაწარმოებებით მოვაჭრე სპეციალური მაღაზია, რომ ხელოვნების ნაწარმოების გასასყიდად მიღებისა და შეფასების საქმე უმეტესწილად არასპეციალისტების, არაკომპეტენტური პირების ხელშია.

გამოქვეყნებული წერილი განხილეს საქართველოს სსრ კულტურისა და ვაჭრობის სამინისტროებმა, საქართველოს მხატვართა კავშირის სამდივნომ, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველომ, რომლებმაც დროულად და სავსებით სწორად ცნეს წერილში გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები და მიიღეს სათანადო გადაწყვეტილებები სახვითი ხელოვნების ნაწარმოებებით ვაჭრობის საკითხის მოწესრიგებისათვის.

**საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ** გაზეთ „კომუნისტის" რედაქციას აცნობა, რომ **„თბილმრეწვავრობის № 28 საკომისიო მაღაზია** (ლენინის ქ. № 67) გადაკეთებულ იქნა თანამედროვე და ძველი სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთა მიღებისა და მათი რეალიზაციის სპეციალიზებულ საკომისიო მაღაზიად და ექსპლოატაციაში შევიდა მიმდინარე წლის 13 ნოემბრიდან.

მაღაზია დაკომპლექტებულია ამ დარგის მცოდნე სპეციალისტებით, ხოლო საქონელმცოდნე-კონსულტანტების თანამდებობაზე მოწვეულნი არიან საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის წარმომადგენლები".

**ᲐᲛᲘᲜᲓᲘ**

## ᲬᲕᲘᲛᲐ, ᲗᲘᲝᲕᲚᲭᲣᲐᲕᲘ

**დღეს,** 24 ნოემბერს, როგორც ამინდის სინოპტიკოსები გვაუწყებენენენ, **ᲓᲐᲡᲐᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ** აღინიშნება ცვალებადი მოღრუბლულობა, მცირე ნალექი, იქროლებს სუსტი ქარი. ტემპერატურა ბარში 8-12 გრადუსი, მთაში — 0-3 გრადუსი სითბო.

**ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ** მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, მცირე ნალექი. დაუბერავს დასავლეთის ქარი, ტემპერატურა ბარში 6-10 გრადუსი სითბო, მთაში 0-3 გრადუსი ყინვა.

**ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ** — ცვალებადი მოღრუბლულობა, ნალექი, ჩრდილო-დასავლეთის ქარი, ტემპერატურა 8-10 გრადუსი სითბო.

ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

# ᲔᲡ ᲠᲐ ᲫᲔᲒᲚᲘ ᲐᲒᲘᲒᲘᲐᲗ!..

**ᲐᲒᲝᲜᲘᲡ,** ტურიზმი დასვენებისა და გართობის საუკეთესო საშუალებაა. როგორც სტატისტიკოსები ამტკიცებენ, ამჟამად მსოფლიოში ყოველწლიურად 50 მილიონი კაცი მოგზაურობს. 1975 წლისათვის ფიგურა ეს ციფრი 100 მილიონს მიაღწევს.

ახლა ამით ვერავის გაკვირვებ. დაუდგენარმა ტურისტმა ყველგან შეაღწია. კალაჰარის გავარვარებულ უდაბნოში თუ მადაგასკარზე, ფიჯისა და ჰავაის გვიტეკურ კუნძულებზე თუ პოლინეზიის ჯუნგლებში.

ბევრი სტუმარი ჩამოდის ჩვენს ქვეყანაში, საბჭოთა ადამიანებიც ზმირად მიდიან სტუმრად უცხოეთში.

ამ ცოტა ხნის წინათ საბჭოთა ტურისტების ერთი ჯგუფი ვროცლავის უნივერსიტეტში ეიყავით. იგი პოლონელი ხალხის სიამაყეა. მას სულ ცოტა ხუთი საუკუნის ისტორია აქვს. საკმაო დარბაზში ვართ. ჩვენი გიდი კანონიერი სიამაყით გვიყვებს, რომ ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარბაზია მთელ ევროპაში. კედლები ნატიფი ნუქერომებითა და ფრესკებით არის დამშვენებული, ჭერი კი შეუდარებლად მოხატული. ფრიზებიდან ტრტანები და ამორები დაგვცქერიან.

ჭრიელ, შავ მაგიდას ვუსხედგართ. ჩვენს პირდაპირ კი გიდი დგას და გატაცებით გვიყვება უნივერსიტეტის ისტორიის, ახლა ამ დარბაზში მხოლოდ განსაკუთრებული, ზაზეიმო შემთხვევის დროს იკრიბებიან მეცნიერების კორიფეები.

ჭრიელ, შავ მაგიდას ხელი მოეწერებით გადავუსვი. უცვლ რუსულ წარწერას მოვკარი თვალი: **„ᲑᲔᲚᲘᲜᲘᲐᲜᲘ. ᲑᲣᲮᲐᲠᲐ, ᲞᲔᲢᲠᲝᲕᲐ. ᲙᲐᲠᲚᲘᲐ. 21. VII. 1978".** სულ ახლახან ყოფილან, გავიფიქრე. **„ᲐᲥᲢᲘᲣᲑᲘᲜᲘᲩᲘ. ᲡᲡᲠᲯ. ᲮᲐᲨᲘ. 28. V. 78".**

ნუთუ ჩვენი თანამემამულე ერთიც არ ყოფილა ამ დარბაზში? — შურმა გამკენწლა გულებში.

**„ᲗᲐᲨᲙᲔᲜᲢᲘ. ᲡᲡᲠᲯ. 19. II. 72. ᲢᲐᲠᲛᲘᲨᲘ ᲕᲐᲚᲝᲓᲘᲐ. ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ. ᲡᲡᲠᲯ. ᲮᲔᲠᲡᲝᲜᲘ. 28.III. 73".**

ის იყო უნაყოფო ძიებაზე ხელი ჩავიქნიე, რომ დარბაზის მარცხენა მხარეს, წინიდან მეოთხე ბოგის შუაში **„ᲛᲐᲛᲐ ᲑᲠᲔᲒᲕᲐᲫᲔ"** მოვკარი თვალი, ეძიებდე და ჰპოვებდეო, — ნათქვამია და მეც ვპოვე **„ᲡᲔᲢᲧᲐ ᲩᲐᲜᲬᲔᲠᲘᲐᲗ!"** ცოტაც და **„ᲚᲔᲚᲘ ᲩᲐᲒᲘᲜᲔᲜᲐᲡᲐᲪ"** მოვავლე თვალი.

*რომ იცოდეთ, ჩემო მეგობრებო, როგორ გავიხარე, როცა თქვენი ავტოგრაფები ვნახე ამ დიდებულ დარბაზში. განსაკუთრებით შენ გიყოჩაღია, ლალი! პირველი წარწერა პატარა გამოგსვლია. მეორედ უფრო მოზრდილად დაგიწერია, ლამაზი, კალიგრაფიული ხელით. თერმე ზუგდიდიან ყოფილხარ. კარგი, რომ გვარის გასწვრივ ბარჩხალია მზეც მიგიხატავს. ალბათ იმიტომ, რომ გეთქვა — მზიური საქართველოს შვილი ვარო. ყოჩაღ, აკი ადამიანები ალფაბეტის შემოღებამდე სამბოლოლოს ხატვით აგებინებდნენ ერთმანეთს აზრს. კარგი, რომ არ დაგვიწყებია შენი შორეულზე შორეული წინაპრის — ბალეოლითელი ადამიანის მეთოდი.*

*ისე, სხვა დროს უმჯობესია კარგი, წყარწამახული დანა ან ქინძისური ლახეტი იქონიონთ თან და ამით ამოჭრათ სახელი და გვარი, ეროვნება, მისამართი და პროფესია. ასე უკეთესად შემოენახება თქვენი სახელი საუკუნეებს. თორემ ამას წინათ ვიღაც გაუფრთხილებელ ადამიანებს მაგიდებისათვის ლაქი გადაუსვამთ. მართალია, თქვენი წარწერებისათვის ეერაფერი დაუკლიათ, მაგრამ ხომ შეიძლებოდა დაზიანებულიყო? მაშინ როგორღა გაგიცნობდით?*

*ისე ახლო მომავალში პარიზში თუ მოხვდეთ, გირჩევთ ღვთისმშობლის ტაძრის კედლებზეც გაიკითხოთ ასეთი წარწერები. ამბობენ, იქ უფრო ბევრი ხალხი აწყდებიო, და არის შანსიც, რომ მეტმა ხალხმა გაგიცნოთ. იტალიასა და საბერძნეთში „სამგალთა ობიექტებს" თავსაყრელად იპოვნით. ეგვიპტესაც არა უშავს რა. ფარაონის მუმიამ თუ სამი ათასი წელი გაძლო, როგორ დაიჯერო, თქვენი წარწერები ერთ ათას წელს მაინც ვერ გაძლებს? მოკლედ ეგ საქმე თქვენთვის მომინდვია. აბა თქვენ იცით, მხიარული და შინაარსიან მოგზაურობას გისურვებთ!*

*თქვენი ნახვის მნატრელი*

**Ჯ. ᲯᲘᲨᲙᲐᲠᲘᲐᲜᲘ.**

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ „ᲢᲝᲢᲔᲜᲰᲐᲛ ᲰᲝᲢᲡᲞᲣᲠᲘ" ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲬᲘᲜ

# ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲒᲐᲜᲗᲥᲛᲣᲚᲘ ᲝᲞᲝᲜᲔᲜᲢᲘ

28 ნოემბერს თბილისის დინამოელები უეფა-ს თასის გათამაშების მერვედფინალის პირველ მატჩში თავიანთ მოედანზე მიიღებენ ინგლისის „ტოტენჰემ ჰოტსპურის" კლუბს. ეს გუდი უკანასკნელი 13 წლის მანძილზე რეგულარულად იკავებს მაღალ ადგილებს როგორც თავისი ქვეყნის პირველობებში, ისე ევროპის ტურნირებშიც.

ინგლისში მხოლოდ ოთხი კლუბი დაიკვეხნის, რომ შეძლო „დუბლის" (ჩემპიონატში გამარჯვება და თასის აღება) მოპოვება. „ტოტენჰემი" — ერთი მათგანია. თანაც ლონდონელებმა ეს შეძლეს ამ საუკუნეში პირველებმა — 1961 წელს. მომდევნო წელს „სპურსმა" („დეზხებმა" — ასე უწოდებენ ჟურნალისტები „ტოტენჰემის" მოთამაშეებს) მოიგეს ქვეყნის თასი და ევროპის ჩემპიონთა თასის ნახევარფინალამდე მიაღწიეს, ხოლო 1963 წელს ინგლისელთაგან პირველებმა მოიპოვეს თასების თასი, ფინალში ანგარიშით 5:1 დაამარცხეს მადრიდის „ატლეტიკო". 1967 წელს მათ მოიპოვეს ინგლისის თასი, 1971 წელს — ინგლისის ლიგის თასი, 1972 წელს გაიმარჯვეს უეფა-ს თასის პირველ გათამაშებში, 1973 წელს კვლავ მოიპოვეს ინგლისის ლიგის თასი და უეფა-ს თასის ნახევარფინალში მონაწილეობა.

ყველა ამ წარმატებას გუნდმა მიაღწია ვეტერან-მწვრთნელის ბილ ნიკოლსონის ხელმძღვანელობით, რომელიც უკვე 37-ე წელია ამ გუნდშია. (ჯერ მოთამაშედ, შემდეგ — მწვრთნელად და მენაჯერად).

„ტოტენჰემში" მუდამ თამაშობდნენ ვარსკვლავები. 60-იანი წლების პირველ ნახევარში გუნდში გამოდიოდნენ ისეთი ცნობილი მოთამაშეები, როგორიც არიან უკანასკნელი დროის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ბრიტანელი ფეხბურთელი, თავდამსხმელი ჯიმი გრივსი, ჩრდილოეთირლანდიელი ნახევარმცველი დენი ბლენფოლაუერი (ახლა იგი გაზეთ „სანდი ექსპრესის" ფეხბურთის მიმომხილველია), ნახევარმცველი კლიფ ჯონსი, რომელიც 11 წლის განმავლობაში იცავდა „ტოტენჰემის" ღიჩხეს.

გუნდს ახლაც საკმაოდ ჰყავს ვარსკვლავები.

# ᲛᲔᲚᲑᲨᲠᲜᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ „ᲝᲥᲠᲝ"

**ᲝᲥᲠᲝᲡ** მერვე მედალი მოუტანა საბჭოთა ნაკრებს მელბურნის მსოფლიო ჩემპიონატზე ფრუნზელმა სპორტსმენმა ვლადიმერ ანდრეევმა. მან გაიმარჯვა შეჯიბრებში მრგვალ სტენდზე — 196 თეფში 200 შესაძლებლიდან. მეორე ადგილზე გამოვიდა სვერდლოვსკელი იური ცურანოვი, მესამეზე — ინგლისელი დევიდ სიდბრუკი (ორივეს — 194 ქულა).

თბილისელი ტარიელ ყრენტი, რომელმაც ამ რამდენიმე დღის წინათ თავის მეგობრებთან ერთად გუნდური პირველობა მოიპოვა მრგვალ სტენდზე, ახლა მეოთხე ადგილზე გამოვიდა — 193 ქულა.

ამ ტურნირზე ოქროს მედლები მოიპოვეს ოგრეთვე მინსკელმა ალექსანდრე კედაროვმა („გაქცეული ტახი"), ლენინგრადელმა ალექსანდრე ანდრონოვმა (სატრანზეო სტენდი), ჰეტროზავოდსკელმა ვალერი პოსტოიანოვმა („გაქცეული ტახი" ცვალებადი სიჩქარით).

გარდა ამისა, საბჭოთა მსროლელებმა მოიგეს გუნდური ოთხი პირველი ბრიზი. ასე რომ ჩვენს მესტენდურებს საბჭოთა ქვეშირმა მელბურნიდან მოიკვეთ „მსოფლიოს მთელი ოქრო".

## ᲘᲡᲔᲕ 3:0

**ᲛᲔᲮᲘᲙᲝ.** 23 ნოემბერი. (საკუდესი). სსრ კავშირის ფეხბურთელთა კლუბების ნაკრებმა ხუთშაბათს მოუგო მექსიკის ქალაქ ტოროონის გუნდს, რომელიც უმაღლეს ლიგაში გამოდის. ანგარიშია 3:0.

მეორე ტაიმის მეხუთე წუთზე ანგარიში გახსნა ევრიფუქინინმა. 25 წუთის შემდეგ იმტოიანმა გაიტანა მეორე გოლი, ხოლო კიდევ სამი წუთის შემდეგ შეპელმა გაანიდა თერთმეტმეტრიანი.

## „ᲨᲐᲮᲢᲘᲝᲠᲘ" — ᲚᲘᲒᲘᲜᲘ

**ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲗ** დაიწყეს თავიანთი ტურნე ლიბანში დონეცკის „შახტიორის" ფეხბურთელებმა. მათ ანგარიშით 2:1 მოუგეს ბეიროუთის „რეინგს", რომელიც მეორე ადგილზეა ქვეყნის ჩემპიონატში.

## ᲣᲜᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘ

**ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ,** 23 ნოემბერი. (საკდესი). ამერიკის ლუზიანის შტატის ქალაქ ახალ ორლეანში შენდება უნიკალური სტადიონი, რომლის სამიარუსიანი ტრიბუნები 80 ათას მაყურებელს დაიტევენ. უზარმაზარი გუნბათოვანი ჭასურავის სიმაღლე 27-სართულიანი სახლისოდენა იქნება.

მთავარი სიახლე, რომელიც „ლუზიანის სუპერგუმბათს" — ასე უწოდებენ თავიანთ ქმნილებას სპორტის ცენტრის შემქმნელები — განასხვავებს მსოფლიოში დღემდე არსებული ყველა სტადიონისაგან, იქნება უნიკალური სატელევიზიო დანადგარი, მას გუმბათის ცენტრისაკენ გაჭიმულ ბაგირებზე დაკიდებენ. მინდორსა მომზდარი ამბები ალიეშდება ირგვლივმდებარე ეკრან უზარმაზარ ფერად სატელევიზიო ეკრანებზე.



ᲤᲚᲐᲙᲝᲜᲘ — ᲛᲔᲣᲮᲐᲜᲫᲠᲘ

## ᲐᲔᲠᲝᲤᲚᲝᲚᲘᲐᲜ ᲮᲐᲜᲯᲐᲠᲡ ᲐᲥᲠᲝᲑᲐ

**ᲙᲐᲙᲝᲢᲘᲓᲐᲜ** ალი გამოვარდა, ცეცხლი მოედო ავტომობილს. ძძოლი გამოვარდა ალმოდებული ბანქანიდან, გადახსნა კაპოტი და ცეცხლს მიუშვერა ჭაველი პატარა ფლაკონიდან. ათი წამიც არ იყო გასული რომ ცეცხლი ჩაქრა.

ხანმაცრი ასე სწრაფად ჩაქრა ეროზოლიან მცირე ბაბარიტის ფრეონის ცეცხლსაქრობით, რომლის გამოცდა ახლახან დაამთავრეს ლატვიის სსრ შინაგან საქმეთა საპროსტერის სახანძრო დაცვის საამართველოს ერთ-ერთ ნაწილში. ცეცხლსაქრობი შეიმუშავა საბჭოთა კავშირის ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სამეცნიერო კვლევითმა ინსტიტუტმა. იგი გამოელისწინებულია ავტოტრანსპორტზე, ვარაჟებში, სახელოსნოებში, ლაბორატორიებში, სამდინარო და საზღვაო კატარღებზე ხანძრის ჩასაქრობად. თავისი ეფექტიანობით აპარატი გამორჩეული ნახშირორჟანგიან ცეცხლსაქრობისაგან, რომელსაც ახლა იყენებენ ავტოტრანსპორტზე. იგი სალამედო და მარტივია მუშაობის დროს როგორც 50 გრადუსიან ყინვაში, ისე ამავე ტემპერატურის სიცხეშიც. (საკდესის კორ.).

**რიგა.**

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ „ᲢᲝᲢᲔᲜᲰᲐᲛ ᲰᲝᲢᲡᲞᲣᲠᲘ" ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲬᲘᲜ

# ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲒᲐᲜᲗᲥᲛᲣᲚᲘ ᲝᲞᲝᲜᲔᲜᲢᲘ

28 ნოემბერს თბილისის დინამოელები უეფა-ს თასის გათამაშების მერვედფინალის პირველ მატჩში თავიანთ მოედანზე მიიღებენ ინგლისის „ტოტენჰემ ჰოტსპურის" კლუბს. ეს გუდი უკანასკნელი 13 წლის მანძილზე რეგულარულად იკავებს მაღალ ადგილებს როგორც თავისი ქვეყნის პირველობებში, ისე ევროპის ტურნირებშიც.

ინგლისში მხოლოდ ოთხი კლუბი დაიკვეხნის, რომ შეძლო „დუბლის" (ჩემპიონატში გამარჯვება და თასის აღება) მოპოვება. „ტოტენჰემი" — ერთი მათგანია. თანაც ლონდონელებმა ეს შეძლეს ამ საუკუნეში პირველებმა — 1961 წელს. მომდევნო წელს „სპურსმა" („დეზხებმა" — ასე უწოდებენ ჟურნალისტები „ტოტენჰემის" მოთამაშეებს) მოიგეს ქვეყნის თასი და ევროპის ჩემპიონთა თასის ნახევარფინალამდე მიაღწიეს, ხოლო 1963 წელს ინგლისელთაგან პირველებმა მოიპოვეს თასების თასი, ფინალში ანგარიშით 5:1 დაამარცხეს მადრიდის „ატლეტიკო". 1967 წელს მათ მოიპოვეს ინგლისის თასი, 1971 წელს — ინგლისის ლიგის თასი, 1972 წელს გაიმარჯვეს უეფა-ს თასის პირველ გათამაშებში, 1973 წელს კვლავ მოიპოვეს ინგლისის ლიგის თასი და უეფა-ს თასის ნახევარფინალში მონაწილეობა.

ყველა ამ წარმატებას გუნდმა მიაღწია ვეტერან-მწვრთნელის ბილ ნიკოლსონის ხელმძღვანელობით, რომელიც უკვე 37-ე წელია ამ გუნდშია. (ჯერ მოთამაშედ, შემდეგ — მწვრთნელად და მენაჯერად).

„ტოტენჰემში" მუდამ თამაშობდნენ ვარსკვლავები. 60-იანი წლების პირველ ნახევარში გუნდში გამოდიოდნენ ისეთი ცნობილი მოთამაშეები, როგორიც არიან უკანასკნელი დროის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ბრიტანელი ფეხბურთელი, თავდამსხმელი ჯიმი გრივსი, ჩრდილოეთირლანდიელი ნახევარმცველი დენი ბლენფოლაუერი (ახლა იგი გაზეთ „სანდი ექსპრესის" ფეხბურთის მიმომხილველია), ნახევარმცველი კლიფ ჯონსი, რომელიც 11 წლის განმავლობაში იცავდა „ტოტენჰემის" ღიჩხეს.

გუნდს ახლაც საკმაოდ ჰყავს ვარსკვლავები.

„ტოტენჰემის" მეკარე პატ ჯენინგსი, რომელსაც საბჭოთა ფეხბურთის მოყვარულები იცნობენ ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებში გამოსვლებით, ინგლისის ფეხბურთის ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარეა. დაცვის" ბურჯია უელსის ნაკრების ცენტრალური მცველი და მისი კაპიტანი მაიკ ინგლიდი. ნახევარდაცვის საუკეთესო მოთამაშეა 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ლონდონის ფინალის გმირი და ახლანდელი ინგლისის ნაკრების დისპეტჩერი მარტინ პიტერსი. თავდასხმაში გამოირჩევიან ინგლისის ნაკრების მოთამაშე მარტინ ჩივერსი, რომელიც ოთხი წლის წინათ „ტოტენჰემმა" შეიძინა მეორე თანრიგის გუნდ „სუტჰემპტონისაგან", და შოტლანდიის ფეხბურთის 34 წლის ვეტერანი ელან ბილუნი, რომელიც თავიდ თამაშის მანერით მოგვაგონებს ზაურ კალოევსა და დერეკ დუგანს.

ინგლისის 1972-73 წლების ჩემპიონატში „ტოტენჰემმა" მერვე ადგილი დაიკავა, რაც სპეციალისტებმა გუნდის წარმატებლობად მიიჩნიეს. ახლანდელ პირველობაში გუნდი უარესად გამოდის. 16 ტურში „ტოტენჰემმა" გაიტანა 18, მიიღო 21 ბურთი და 15 ქულით მეცამეტე ადგილზე იმყოფება სატურნირო ცხრილში. გათამაშების ლიდერს — „ლიდსს" იგი 13 ქულით ჩამორჩება.

უეფა-ს თასის გათამაშებში „ტოტენჰემი" მოხვდა ინგლისის ლიგის თასზე გათამაშებში გამარჯვების წყალობით. პირველ წრეში ლონდონელებმა დაამარცხეს შვეიცარიის „გრასჰოპერსი" ანგარიშით 5:1 და 4:1, ხოლო მეთექვსმეტედფინალში — შოტლანდიის „აბერდინი" 1:1 და 4:1.

სულ უეფა-ს თასების გათამაშებში გუნდმა გამართა 26 შეხვედრა, 17 მოიგო, 6 დაამთავრა ფრედ და 3 წააგო, ბურთების შეფარდებით 65:17.

ევროპის კლუბების ტურნირებში მონაწილეობის მეთე მანძილზე „ტოტენჰემს" არც ერთხელ არ წაუგია თავის მოედანზე 62-ათასიან სტადიონ „უაიტ ჰარტ ლეინზე".

„დინამოსა" და „ტოტენჰემის" საპასუხო შეხვედრა გაიმართება 12 დეკემბერს ლონდონში.

(საკდესის კორ.).



ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲙᲘᲠᲐᲡ
ზ. დათუაშვილის ფოტოტეუდი.

## ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

### 26 ნოემბერი

10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — გკრანზეა კინოკომედია — მხატვრული ფილმი „მტკიცე ხასიათის ქალიშვილი", 12.00 — ს. რახმანინოვის პირველი საფორტეპიანო კონცერტი ორკესტრთან ერთად, 12.30 — საინფორმაციო პროგრამა — ინდოეთის რესპუბლიკაში აბზ. ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის გამო, 13.00 — ინდური დოკუმენტური ფილმების პროგრამა, 17.05 — სტუდენტთა დასახმარებლად: ლექცია ზოგად ფიზიკაში, 18.05 — განცხადებები, 18.10 — „ეკონომიური ცოდნის საფუძვლების შემსწავლელთათვის". „მატერიალური რესურსების გამოყენება", 18.30 — სატელევიზიო ფილმების ფესტივალი, 19.10 — „საშობოლოს უპატაკებს კუიბიშევის ოლქი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.00 — „მეცნიერების აქტუალური პრობლემები". („უნილავი მტერი"), 20.35 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.05 — „სიმღერის გახსენება", 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.00 — ახალი ამბები.

### 27 ნოემბერი

10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — კინოპროგრამა, 11.00 — სკოლების დასახმარებლად: ფიზიკა (VII კლასელთათვის, სითბური ძრავები), 11.25 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 12.30 — საინფორმაციო პროგრამა. ინდოეთის რესპუბლიკაში. აბზ. ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის გამო, 13.00 — ს. პროკოფიევი, მეხუთე სიმფონია. ასრულებს ცენტრალური ტელევიზიისა და საკავშირო რადიოს დიდი სიმფონიური ორკესტრი. დირიჟორი — რსფსრ სახალხო არტისტი — გ. როჟდესტვენსკი, 13.40 — ფერადი ტელევიზია, სატელევიზიო ნარკვევი ინდოეთის სოფელზე. (სტუდიაში — ცენტრალური ტელევიზიისა და საკავშირო რადიოს პოლიტიკური მიმომხილველი — ვ. დუნაევი — (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.30 — ლექციები სტუდენტთა დასახმარებლად, 17.15 — ბიოლოგიაში, 18.00 — განცხადებები, 18.05 — „მოთხრობები ბავშვებისათვის", 18.25 — „როგორ ჩავატაროთ ატესტაცია", 18.40 — სატელევიზიო ფილმების ფესტივალი, 19.10 — „სოფელი ქალაქურ ყალაზე", 19.30 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.00 — ფეხბურთი უეფა-ს თასზე. მერვედფინალი, „დინამო" (კიევი) — „ეტუტკარტი" (ბერლინი) — გადმოცემა კიევიდან, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.00 — „სპორტული კვირეული", 23.20 — ახალი ამბები.

### 28 ნოემბერი

10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — მხატვრული ფილმი „დაკარგული მოწმე", 12.10 — ფერადი ტელევიზია. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ინდოეთის ფერები", 12.30 — საინფორმაციო პროგრამა ინდოეთის რესპუბლიკაში აბზ. ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის გამო (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.00 — „ეროვნული დასახმარებლად", 16.45 — სკოლების დასახმარებლად: რუსული ენა, 17.15 — კინონარკვევი, 17.25 — სკოლების დასახმარებლად: ინგლისური ენა, 17.55 — ფეხბურთი უეფას თასზე: „დინამო" (თბილისი) — „ტოტენჰემ ჰოტსპური" (ინგლისი) — შესვენების დროს განცხადებები და გადაცემათა პროგრამა, 19.45 — „მოწყინავე გამოცდილების სკოლა", 20.00 — სტუდიაში პოეტი ნ. კოლასონოვი, 20.10 — „დიადი მეგობრობა", 20.25 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.55 — გადაცემა ციკლიდან „შემოქმედებითი პორტრეტები" — „უმანეი ჩხეიძე, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.05 — „ტოტენჰემი" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.30 — ახალი ამბები, 23.45 — კინოპროგრამა, 00.15 — საბჭოთა კავშირის თასი სამბოში — (გადმოცემა ტ